საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე: „ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე გერმანული საერთაშორისო სკოლის კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.14.06.007.067), ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"

აიპ „თბილისის გერმანული სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირი"-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2016 წლის აპრილში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე გერმანული საერთაშორისო სკოლის კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.14.06.007.067) ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე გერმანული საერთაშორისო სკოლის კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.14.06.007.067) ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს საინჟინრო გეოლოგიური განყოფილების მიერ 2016 წლის თებერვალში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟ. გეოლოგი გ. ზაგაშვილი. მათ მიერ არის ჩატარებული თიხოვანი გრუნტების თვისებათა სიმტკიცის დასადგენად, ჩატარდა საქართველოს აკად. გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 14 გვ.
2. მიწერილობა ..... 1 გვ.
3. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.
4. კლდოვანი ქანების სიმტკიცის განსაზღვრის შედეგები ..... 4 გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა ..... 1 ფურც
6. ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები ..... 3ფურც.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ..... 5ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 3 სართულიანი სკოლა და ერთსართულიანი საბავშვო ბაღი. შენობები კონსტრუქციულად გადაწყვეტილია

რკინაბეტონის კარკასში. შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება შენობის ფუნდამენტებს და მათ კონსტრუქციას, იგი გადაწყდება მოედნის გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად, ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაიბურღა 9 ჭაბურღილი, რომელთა საერთო სიგრძე შეადგენდა 94.5 მეტრს. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების გამოსაკვლევად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე საკვლევ მოედანზე გამოყოფილი იქნა გეოლოგიურ ჭრილში გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ტექნოგენური გრუნტი.
2. ფენა 2 – თიხნარი;
3. ფენა 3 – ძლიერ გამოფიტული არგილითები და ქვიშაქვები.
4. ფენა 4 – ნაკლებად გამოფიტული არგილითები და ქვიშაქვები

ანგარიშში საკმაოდ მრავალფეროვნადაა დახასიათებული საკვლევი გრუნტები. აღნიშნულია, რომ მოედნის პირველი ფენა ნაყარ გრუნტს წარმოადგენს, ამიტომ იგი შენობის ფუძე-გრუნტებად არ გამოდგება და ამიტომ მისი თვისებები არ გამოკვლეულა. შემდეგი ფენა წარმოდგენილი არის თიხნარებით, რომლებიც შეიცავს ნატეხოვან გრუნტს 10%-ის რაოდენობით. მათი სიმძლავრე იცვლება (3.3-9.2) მ ფარგლებში. თიხნარები ხასიათდებიან პლასტიკურობის მიხედვით ნახევრადმყარი კონსისტენციით. მოედნის შემდეგი ფენა წარმოდგენილია უკვე ძირითადი ქანებით არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობით მათი წოლის ელემენტები ჩრდ. 340-349°, ხოლო შრეების დახრის კუთხე 26-30°. შრეების დახრა არ ემთხვევა ფერდობის დახრის მიმართულებას, რაც მეწყრული პროცესების განვითარების თვალსაზრისით დადებითად ყნდა შეფასდეს.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი არ დაფიქსირებულა. ზოგიერთი ჭაბურღილში დაფიქსირდა მხოლოდ სისველე. გრუნტების სიმტკიცის მაჩვენებლები დამუშავებულია სტატისტიკური მეთოდით. როგორც გამოკვლევებიდან ჩანს გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

დასკვნა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე გერმანული საერთაშორისო სკოლის კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.14.06.007.067) აკმაყოფილებს და შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და წესებთან. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად, წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საფუძვლად საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დამსახურებული მშენებელი, ტექნიკურ
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჭოხონელიძე